



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგტაქიკე”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

“ 2 ” “ აგვისტო ” 2018 წელი

N 51/36

გვ: N1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის
ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები	3
ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა	5
1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	5
1.2.1 სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები.....	5
1.2.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	5
1.2.3 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	6
1.2.4 სხვა მატერიალური მარაგები	6
1.2.5 ძირითადი აქტივები	7
1.2.6 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები.....	7
1.2.7 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	8
1.2.8 გრანტები (ხარჯები).....	8
1.2.9 არასაოპერაციო შემოსავლები.....	9
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	10
2.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	10
2.2 ვადაგადაცილებული მოთხოვნები	10
2.3 შრომის ანაზღაურება	10
2.4 წლის ბოლოს გადახდილი თანხები	12
2.5 გრანტები (ხარჯი)	12
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	13
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.....	14
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).....	16
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	17
ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	18
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	19
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება.....	20

ტერმინთა განმარტებები

აღრიცხვის ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

დეპარტამენტი - სსდ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

მინისტრი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

სამინისტრო - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;

სსდ - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

ფონდი - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

ცენტრი - სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვენსტიციო ცენტრი.

ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის რეგიონებში გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა, დაზუსტებული გეგმა და საკასო შესრულება (ათას ლარებში):

ცხრილი N1.

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	საკასო შესრულება
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,288,047	1,323,846	1,355,150
	მომუშავეთა რიცხოვნობა	376	-	-
	ხარჯები	349,098	451,965	473,386
	შრომის ანაზღაურება	7,970	7,902	7,885
	არაფინანსური აქტივების ზრდა	685,686	648,615	656,660
	ფინანსური აქტივების ზრდა	233,263	209,751	211,588
	ვალდებულებების კლება	20,000	13,515	13,515

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება¹ გადანაწილებულია შემდეგნაირად (ათას ლარებში):

ცხრილი N2.

საბალანსო ერთეულის დასახელება		
	1,355,150	100%
სამინისტროს აპარატი	189,172	14%
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	291,911	21%
სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	482,800	36%
სსდ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	391,026	29%
სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	240	0%

¹ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2 - ის მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 123,486,374 ლარი.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს² მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში საგადასახადო აქტივი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 843,701 ლარს, რომელიც ძირითადად მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს. ხოლო, ფონდის საგადასახადო ბარათზე ჯამური დადებითი სალდო შეადგენს 2,537,152 ლარს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში ასახული თანხა შემცირებულია 1,693,452 ლარით.

1.2.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად არის ასახული შპს „თეთნულდისა“ და შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ კაპიტალში განხორციელებული შენატანები ჯამური თანხით - 83,577,619 ლარი (შესაბამისად, 73,495,258 ლარი და 10,082,361 ლარი). 2016

² „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 12-მდე

³ საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი; 63-ე მუხლი, ზოგადი დებულებები

წელს ზემოთ მითითებულ კომპანიების მიმართ სამინისტროს შეუწყდა კონტროლის უფლება და აღრიცხვის ინსტრუქციის³ შესაბამისად, ხარჯებში უნდა ჩამოეწერა აღნიშნული ნაშთი ამავე წელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ და „აქტივების წმინდა ღირებულების“ ნაშთები არასწორად არის გაზრდილი 83,577,619 ლარით.

1.2.3 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „ქალაქ ჭიათურაში მდებარე ქალაქის ცენტრის პერიფერიებთან დამაკავშირებელი ურბანული მექანიკური საბაგიროების აღჭურვილობის განახლების“ პროექტთან დაკავშირებით „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში 2015 წლიდან ასახულია 5,366,518 ლარის მოთხოვნა-ავანსი⁴, რომელიც გადაერიცხა ფრანგულ კომპანია POMA-ს. ავანსის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო ურბანული მექანიკური საბაგიროების აღჭურვილობის მოწოდება. 2016 წლიდან პროექტის განხორციელების უფლებამოსილება გადაეცა ფონდს, რომელმაც სამინისტროს აპარატის მსგავსად, კომპანია POMA-ს 2016-2017 წლებში 25,751,715 ლარის ავანსი გადაურიცხა და 2017 წელს მიღება-ჩაბარების საფუძველზე 27,369,167 ლარის ავანსი ჩამოწერა. შესაბამისად, სხვაობა გადახდილ ავანსსა და ჩამოწერილ ავანსს შორის 1,617,167 ლარი - ფონდს აღიარებული აქვს ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში. ვინაიდან პროექტის განხორციელების უფლებამოსილება 2016 წლიდან სამინისტროს აპარატს აღარ გააჩნდა და პროექტის სრულ ადმინისტრირებას ფონდი ახორციელებდა, აღნიშნული მოთხოვნა სამინისტროს აპარატს უნდა გადაეცა ფონდისთვის, რომელიც პროექტის ფარგლებში გადახდილ და ჩამოწერილ თანხებს ერთიან ჭრილში განიხილავდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ 5,366,518 ლარის მოთხოვნის უფლებაზე და ასევე „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლის 1,617,167 ლარის სიზუსტეზე.

1.2.4 სხვა მატერიალური მარაგები

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 5,762,621 ლარის ღირებულების მარაგები („სხვა მატერიალური მარაგები“). ინვენტარიზაციის აქტი დეპარტამენტის თავმჯდომარემ დაამტკიცა 2018 წლის 14 ივნისს, რა დროისთვისაც აუდიტის ჯგუფს დასრულებული ჰქონდა აუდიტორული პროცედურები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული „სხვა მატერიალური მარაგების“ სისრულესა და არსებობაზე.

27-ე მუხლის მე-7 პუნქტი

4 დონორის მიერ (საფრანგეთის მთავრობა) პირდაპირი გადახდებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასო შესრულებაში არაფინანსური აქტივების ღირებულებით გადარიცხული თანხა.

1.2.5 ძირითადი აქტივები

დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი“ ასახულია 1,851,696,947 ლარის ოდენობით. დეპარტამენტს „დაუმთავრებელი აქტივი“ „დასრულებული აქტივის“ მუხლში გადააქვს მიღება-ჩაბარების აქტისა და ექსპლუატაციაში მიღების ბრძანების საფუძველზე.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 3 ლოტად განხორციელებული პროექტი - „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია და ხიდის მშენებლობა“⁵ დასრულებულია 2014 წელს და სრული დატვირთვით გამოიყენება, მაგრამ ჯერ ბრძანებით ექსპლუატაციაში არ არის შესული. მიუხედავად ამისა, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია და ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის ვადებიც გასულია. აქტივის ღირებულება შეადგენს 279,217,889 ლარს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, მოხდეს რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივიდან - ხიდების და გზების მუხლებში და დაერიცხოს შესაბამისი ცვეთა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი შემცირებულია. გზების და ხიდების ცვეთისთვის ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე გამოიყენება განსხვავებული პროცენტები. გამომდინარე იქიდან, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გზების და ხიდების ღირებულება არ არის გამიჯნული, შეუძლებელია ცვეთის ხარჯის ეფექტის ზუსტი გაანგარიშება. ზემოაღნიშნული ორი საპროცენტო განაკვეთიდან მინიმალურის გამოყენებით, დეპარტამენტს 2015-2017 სრულ წლებზე ცვეთის ხარჯი უნდა დაერიცხა, მინიმუმ 8,376,536 ლარის ოდენობით⁶.

ამასთან, აუდიტის პერიოდში დეპარტამენტმა და ფონდმა ვერ მოგვაწოდა 2017 წლის ინვენტარიზაციის აქტები, რადგან აუდიტორული პროცედურების დასრულების თარიღისათვის ინვენტარიზაციის აქტი დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული არ იყო. აღნიშნული აქტი დამტკიცდა 2018 წლის 14 ივნისს.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახულ ძირითადი აქტივების სისრულზე.

1.2.6 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ საკასო მონაცემებს, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციას.

ცენტრის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში - „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში არ არის ასახული მომწოდებლების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე დაკავებული 5% ხარისხის დაცვის

5 კონტრაქტორი TODINI Costruzioni Generali SPA, Representation (branch) of Akkord Industry Construction Investment Corporation OJSC in Georgia - Akkord Georgia; 1. თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა სვენეთი - ხიდი მდ. ლიახვის მონაკვეთი კმ80-კმ84.75 ლოტი I; 2. თბილისი-სენაკი - ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა ხიდი მდ. ლიახვზე კმ84.75 - კმ86.2. ლოტი II; 3. თბილისი-სენაკი - ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის მონაკვეთის მოდერნიზაცია - მშენებლობა ხიდი მდ. ლიახვზე - რუისის მონაკვეთზე კმ86.2 - კმ94.531 ლოტი III.

6 ექსპლუატაციაში შევიდა 2014 წელს, ცვეთის ხარჯი გადათვლილია 2015, 2016 და 2017 სრულ წლებზე. $2,792,178 \times 3 \text{ წელი} = 8,376,536$.

თანხები (სარეზერვო თანხები), რომლის ჯამური მოცულობა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 23,242,132 ლარს. აღნიშნული ვალდებულებები არც დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი შემცირებულია 23,242,132 ლარით.

1.2.7. ძირითადი კაპიტალის მოხმარება

დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯი შეადგენს 82,269,690 ლარს. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტს არ აქვს შემუშავებული შიდა პოლიტიკა გზების, ხიდების და გვირაბების ცვეთასთან დაკავშირებით და არც საქართველოს ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანებით⁷ ხელმძღვანელობს. მათი განმარტებით, გზები დაყოფილი აქვთ საერთაშორისო მნიშვნელობის და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებად და ცვეთის ნორმებიც ამ მიდგომის შესაბამისად აქვთ განსაზღვრული, კერძოდ: საერთაშორისო მნიშვნელობის გზას ერიცხება 2%, ხოლო შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას - 3.2%. თუმცა დეპარტამენტი მის მიერვე გაცხადებულ ცვეთის დარიცხვის მეთოდსაც არ იცავს, მაგალითად: 2016 წელს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომელსაც ერიცხებოდა ცვეთა 2%, დაიყო 3 ნაწილად, სადაც ერთი ნაწილი დარჩა საერთაშორისო მნიშვნელობის გზად, ხოლო ორი ნაწილი - შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებად. დეპარტამენტის მიდგომის შესაბამისად, გზების კლასიფიკაციის ცვლილებას უნდა გამოეწვია ცვეთის ნორმების ცვლილება, ანუ საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე უნდა დარჩენილიყო 2% ცვეთის ნორმა, ხოლო შიდა სახელმწიფოებრივ გზებზე გაზრდილიყო 3.2%-მდე. აღსანიშნავია, რომ კლასიფიკაციის ცვლილების შესაბამისად, ცვეთის ნორმა არ შეცვლილა და სამივე ნაწილს ისევ 2% ერიცხება. აღნიშნულმა გამოიწვია დარიცხული ცვეთის ხარჯის შემცირება 620,488 ლარით.

გარდა ამისა ხაზგასასმელია, რომ დეპარტამენტს არ აქვს აღრიცხული გზებზე არსებული ხიდები და გვირაბები სრულად და ისინი კლასიფიცირდებიან როგორც გზები. ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის ზემოაღნიშნული იწვევს მნიშვნელოვან სხვაობებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივების ნაშთებსა და კაპიტალის მოხმარების ანგარიშზე. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისად, აღნიშნულ აქტივებს უნდა მიენიჭოს თავისი შესაბამისი კლასიფიკაცია, რომელზეც ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრი 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულია ცვეთის ნორმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ ნაშთი და ფორმა N2-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მოცულობა არ შეესაბამება ინსტრუქციის მოთხოვნებს.

1.2.8 გრანტები (ხარჯები)

2017 წლის სამინისტროს აპარატს „გრანტების“ მუხლით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის გადაცემული აქვს 5,966,860 ლარის არაფინანსური აქტივი⁸. გადაცემის დოკუმენტებით აღნიშნული აქტივის ღირებულებამ შეადგინა 6,728,604 ლარი, რაც მოიცავს ანგარიშფაქტურებში ასახული საქონლის ღირებულებას. სხვაობა ფინანსურ

7 „საბუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანება.

8 აქტივის ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული იყო დონორის მიერ პირდაპირი გადახდებით გადარიცხული და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასო შესრულებაში ასახული არაფინანსური აქტივის ღირებულებით.

ანგარიშგებაში ჩამოწერილ ხარჯსა და აქტივის რეალურ ღირებულებას შორის 761,744 ლარის ტოლია. შესაბამისად, ფორმა N2-ში „გრანტების“ მუხლით გატარებული ხარჯები 761,744 ლარით ნაკლებად არის წარდგენილი.

ფონდის 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტის“ მუხლით გასულია ორი სატრანსპორტო საშუალება, საერთო ღირებულებით - 319,421 ლარი. გადაცემის დოკუმენტებში აღნიშნული აქტივების ღირებულება შეადგენს 478,462 ლარს. სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში ჩამოწერილ ხარჯსა და აქტივის რეალურ ღირებულებას შორის 159,041 ლარის ტოლია. შესაბამისად, ფორმა N2-ში „გრანტების“ მუხლით გატარებული ხარჯები 159,041 ლარით ნაკლებად არის წარდგენილი.

1.2.8 ქვეთავში მოცემული საკითხებიდან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში - ფორმა N2-ში „გრანტების“ მუხლი შემცირებულია 920,785 ლარით.

1.2.9 არასაოპერაციო შემოსავლები

ფონდმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით, „საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის“ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებზე გასცა სესხები ლარში. ფონდს მოთხოვნები მუნიციპალიტეტების მიმართ არასწორად აქვს დაფიქსირებული ევროში. აღნიშნული მოთხოვნები ფონდმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადააფასა, რის შედეგადაც მოთხოვნები გაზრდილია 3,431,826 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N4-ში „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლი წარდგენილია 3,431,826 ლარით მეტი თანხით.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში (10 მლნ ევრო, სესხი და 2 მლნ ევრო, გრანტი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ფონდს შორის 2016 წელს გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სესხის სახით მუნიციპალიტეტებისთვის შესაბამისი ქონების გადაცემას. ამავე პროექტის განხორციელების ეტაპზე, ფონდსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმდა ქონების გადაცემის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც გათვალისწინებული იყო სესხის გაცემის ზოგადი პირობები. ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, უნდა შემდგარიყო დანართი N1, სადაც დაზუსტებული იქნებოდა გადაცემული ქონების ღირებულების ფარგლებში სესხის და გრანტის მოცულობები და ანგარიშწორების პირობები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 27,397,810 ლარის სესხებზე⁹, ფონდსა და მუნიციპალიტეტებს შორის არ გაფორმებულა სასესხო ხელშეკრულება და არც დანართი N1, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში ეტაპობრივად გაფორმდა შედარების აქტები, რის საფუძველზეც გაცემული სესხების 26,635,796 ლარის გაცემა დადასტურდა, ხოლო 762,014 ლარის სესხების აღიარებაზე შესაბამისი პირველადი დოკუმენტები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო გაფორმებული.

2.2 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება 2,143,360 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოშობილია შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების საფუძველზე და წარმოადგენს ვადაგადაცილებულ მოთხოვნას, რადგან მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა ვალდებულების აღიარებაზე.

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე ასახულია შპს „საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის“ ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება 3,447,644 ლარის ოდენობით.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, ფონდმა მიმართა სამინისტროს აღნიშნული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებით, რასაც აუდიტის ანგარიშის გაცემის თარიღის მდგომარეობით შედეგი არ გამოუღია.

გარდა ამისა, დეპარტამენტს აღრიცხული აქვს სს „საგზაო კომპანია თბილისის“ მიმართ დებიტორული დავალიანება 5,337,341 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს 2015 წლის 30 იანვარს გაცემულ ავანსს. აღნიშნულ ვადაგადაცილებულ დავალიანებასთან მიმართებით მიმდინარეობს სასამართლო დავა.

2.3 შრომის ანაზღაურება

სამინისტროს აპარატის და საგზაო დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს დანიშნული ჰქონდა ყოველთვიური დანამატი (შესაბამისად, მინისტრის და დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით).

სამინისტროს აპარატში თანამშრომლებზე სულ 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 2,838,130 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის, დანამატი 774,739 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 27%-ს შეადგენს.

9 „გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“.

დეპარტამენტში თანამშრომლებზე სულ 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 4,692,341 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის, დანამატი 1,502,235 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 32%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, დამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. ხოლო ერთი ბრძანების საფუძველზე, წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნა თანამდებობრივი სარგოს ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე დანამატის, რაც გამართლებულ პრაქტიკად ვერ ჩაითვლება. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

სამინისტროს აპარატში დამტკიცებულ სამტატო რიცხოვნობას ფაქტობრივად წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებულთა რიცხოვნობა ჩამორჩება 31%-ით, დეპარტამენტში - 12.5%-ით. დაგეგმვის ეტაპზე სამტატო რიცხოვნობა მნიშვნელოვნად არ უნდა აჭარბებდეს წლის განმავლობაში ფაქტობრივად დასაქმებულთა რაოდენობას, რადგან არასწორად დაგეგმვის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების ათვისება ან გადანაწილება მუხლს შიგნით, პრემიებისა და დანამატების გასაცემად, არ შეიძლება კარგ პრაქტიკად ჩაითვალოს.

ცხრილი N3.

დანამატების ცხრილი ორგანიზაციების მიხედვით:

ორგანიზაცია	დამტკიცებული რიცხოვნობა	ფაქტობრივი რიცხოვნობა	შრომის ანაზღაურება	დანამატი	დანამატის წილი
სამინისტროს აპარატი	151	105	2,838,130	774,739	27.29%
სსდ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	216	189	4,692,341	1,502,235	32.01%
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	-	115	2,943,724	-	-
სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი ¹⁰	-	14	229,800	-	-
სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	9	9	124,837	-	-
სულ:	376	418	10,599,032	2,276,974	

10 სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის და სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელფასები არ არის ბიუჯეტით გათვალისწინებული.

2.4 წლის ბოლოს გადახდილი თანხები

ფონდმა საკუთარი სახსრების ანგარიშზე, 2017 წლის 29 დეკემბერს კაპიტალური პროექტების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიიღო 91,936,465 ლარი. აქედან, მთავრობის 2017 წლის 18 დეკემბრის N2635 განკარგულებით -61,012,000 ლარი, სახელმწიფო სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად საჭირო შენობა-ნაგებობების (ბიზნესსახლი) მშენებლობისთვის, ხოლო მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის N2570 განკარგულებით - 30,924,465 ლარი, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის. აღნიშნული თანხებიდან 9,900,000 ლარი 2018 წლის დასაწყისში ფონდმა დაუბრუნა ეკონომიკის სამინისტროს, ხოლო 82,012,000 ლარი განათავსა კომერციული ბანკების სადეპოზიტო ანგარიშებზე სარგებლის მიღების მიზნით. აღნიშნული პროექტების განხორციელება აუდიტის დასრულების პერიოდისთვის (2018 წლის ივნისი) ჯერ არ იყო დაწყებული და შესაძლოა, 2018 წელსაც ვერ განხორციელდეს. ამასთანავე, იზრდება რისკი, რომ პროექტის განხორციელების შესყიდვის პროცედურები განხორციელდეს დაჩქარებული გზით, რაც ვერ უზრუნველყოფს გამოყოფილი სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.5 გრანტები (ხარჯი)

დეპარტამენტი შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შექმნილ ძირითად აქტივებს (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები) „გრანტების“ მეხლით გადასცემს შესაბამის მუნიციპალიტეტებს. გადაცემის დროს დეპარტამენტსა და მუნიციპალიტეტებს შორის არ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები და გადაცემა ხდება წერილის და თანდართული საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, არ აკისრებს მუნიციპალიტეტს ვალდებულებას გადმოცემულ აქტივზე განახორციელოს მოვლა-პატრონობა.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI - ს შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- 1) ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- 2) ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოეხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე.
- 3) ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.
- 4) ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულიად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.
- ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილ მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

სახელი, გვარი

თენგიზ თევდორაძე

შმაგი ჯოჯიშვილი

მაკო ხუცერაული



ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

დასახელება	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	377,379,434	206,593,528
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	18,406,877	29,207,179
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	371,446,316	252,725,866
სხვა მატერიალური მარაგები	5,926,961	6,264,609
სულ მოკლევადიანი აქტივები	773,159,588	494,791,182
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	842,514,298	632,823,335
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	124,856	116,356
ძირითადი აქტივები	4,102,275,140	3,645,417,149
ფასეულობები	300	300
არაწარმოებული აქტივები	132,055,733	61,492,916
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,986,970,327	4,339,850,056
ბალანსი	5,760,129,915	4,834,641,238
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	229,512,856	163,007,227
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	17,470,379	14,797,991
სულ მოკლევადიანი ვალდებ. და კრედიტორული დავალიანებები	246,983,235	177,805,218
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებ. და კრედიტორული დავალიანებები	70,143,221	50,706,635
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	70,143,221	50,706,635
სულ ვალდებულებები	317,126,456	228,511,853
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	5,275,435,045	4,536,654,397
გაუნაწილებელი მოგება	167,568,414	69,474,988
სულ კაპიტალი	5,443,003,459	4,606,129,385
ბალანსი	5,760,129,915	4,834,641,238

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	არსაბიუჯეტო სახსრები	სულ	2016 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,355,150,169		1,355,150,169	971,8 17,60 6
შემოსავლები	8,674,029	114,812,345	123,486,374	24,125,424
გრანტები	1,540	103,218,306	103,219,846	10,889,413
სხვა შემოსავლები	2,574,320	11,594,039	14,168,359	13,236,011
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	2,001,525	26,423	2,027,948	2,687,250
დ) ნებაყოფილობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	159,528	159,528	-
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	572,795	11,408,088	11,980,883	10,548,761
სულ:	1,357,726,029	114,812,345	1,472,538,374	995,943,030
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	7,885,239	2,943,724	10,828,963	11,817,980
საქონელი და მომსახურება	104,578,368	1,102,185	105,680,553	67,078,660
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	82,890,717	355,898	83,246,615	74,205,112
სუბსიდიები	122,279,146	-	122,279,146	57,954,412
გრანტები	263,092,156	4,396,017	267,488,173	17,875,370
სოციალური უზრუნველყოფა	196,161	114,943	311,104	230,307
სხვა ხარჯები	19,021,640	2,892,903	21,914,543	234,907,584
სულ:	599,943,427	11,805,670	611,749,097	464,069,425
ფინანსური შედეგი	757,782,602	103,006,675	860,789,277	531,873,605

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ზაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ:
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	647,895,414	98,093,425	90,885,235	836,874,074
კორექტირებები:	64,011,233	(1,071,777)	65,834,037	128,773,493
ცვეთა (+)	82,890,718	355,898	-	83,246,616
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(14,906,926)	(206,808)	51,803,176	36,689,442
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	344,122	(6,474,)	-	337,648
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	993	(9,493)	-	(8,500)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(12,464,593)	(2,847,623)	18,664,363	3,352,150
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	8,146,916	1,642,723	(4,633,502)	5,156,137
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	711,906,647	97,021,648	156,719,272	965,647,567
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	623,513,508	7,740	43,323,195	666,844,443
ძირითადი აქტივები	550,711,877	7,740	43,323,195	594,042,812
არაწარმოებული აქტივები	72,801,631	-	-	72,801,631
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(623,513,508)	(7,740)	(43,323,195)	(666,844,443)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(104,388,398)	(982,942)	(104,916,096)	(210,287,436)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	73,158,382	9,111,836	-	82,270,218
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(31,230,016)	8,128,894	(104,916,096)	(128,017,218)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	57,163,123	105,142,802	8,479,981	170,785,906
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	161,574,408	45,019,120	-	206,593,528
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	227,217,512	150,161,922	-	377,379,434
	4,384,601	(1,866,952)	-	2,517,649

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	4,536,654,397	69,474,988	4,606,129,385
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	4,536,654,397	69,474,988	4,606,129,385
არასაოპერაციო შემოსავლები	43,582,026	4,553,395	48,135,421
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	8,026,093	1,889,417	9,915,510
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	35,555,747	2,663,978	38,219,725
არასაოპერაციო ხარჯები	61,627,611	8,603,691	70,231,302
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	12,811,604	22,465	12,834,069
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	48,816,007	8,581,226	57,397,233
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	956,368	862,954	1,819,322
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	956,368	-	956,368
მოგების გადასახადი	-	862,954	862,954
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	757,782,603	103,006,675	860,789,278
ნაშთი წლის ბოლოს	5,275,435,047	167,568,413	5,443,003,460

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტე ბული გეგმით	გადახრა დამტკ. და დაზუსტ. გეგმას შორის (%)	ფაქტობრივი (საკასო) ხარჯი	გადახრა % ფაქტობრივ (საკასო) ხარჯსა და დაზუსტებუ ლ გეგმას შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და ფაქტობრივ (საკასო) ხარჯს შორის
ხარჯები	349,098,500	451,965,595	129.47%	473,386,233	104.74%	599,943,427	126,557,193
მათ შორის:	7,970,000	7,902,000	99.15%	7,885,239	99.79%	7,885,239	-
შრომის ანაზღაურება	7,970,000	7,902,000	99.15%	7,885,239	99.79%	7,885,239	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	685,686,000	648,615,000	94.59%	656,660,176	101.24%		-
ფინანსური აქტივების ზრდა	233,262,500	209,751,300	89.92%	211,588,655	100.88%	-	-
ვალდებულებების კლება	20,000,000	13,515,105	-	13,515,104	-	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE